<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>		<p>აიპ "მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 17 სპორტის სახეობის მიმართულებით, 26 სპორტულ ობიექტზე, 58 ჯგუფის და 64 მწვრთნელის (მათ შორის 6 ქალი) მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (3 დან - 25 წლამდე) დაახლოებით 1300 ბენეფიციარს. გახსნილია სპორტული წრეები შემდეგი მიართულებით: ქართული ჭიდაობა, ძიუდო. "judo kids" (საბავშვო ძიუდო), თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, ტაეკვონდო, კიკბოქსინგი, ფეხბურთი, რაგბი, ფრენბურთი, ბატუტზე ხტომა, მხატვრული ტანვარჯიში, მშვილდოსნობა, მკლავჭიდი, კარატე, ჭადრაკი, ძალისმიერი სამჭიდი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 18 ადმინისტრაციული ერთეულიდან მინიმუმ ერთი სპორტული ჯგუფი ფუნქციონირებს 12 ერთეულში. სპორტული სკოლა საქმიანობის ფარგლებში პრიორიტეტს ანიჭებს იმ სპორტის სახეობების გაფართოვებას, რომლებიც უკეთესად უზრუნველყოფენ გოგონებისა და ბიჭების შედარებით თანაბარ ჩართულობას. სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს მშვილდოსნობის ჯგუფი პარამშვილდოსნებისთვის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მწვრთნელის მონაწილეობით. სპორტსკოლა არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სკოლის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება.</p> <p>სარაკბო კლუბ-მარნეულის "არმაზის" ხელშეწყობა, რაგბის პოპულარიზაცია და სარაკბო საბავშვო სექციების განვითარება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.</p>	
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>		<p>სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ნაწილის ტერიტორიაზე, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;</p>	

ა.ბ) სპორტული ღონისძიებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			51.0
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>			
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>		<p>ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდების სპორტით დაინტერესება. სპორტის სახეობების დამატება,</p>	
<p>ქვეპროგრამის</p>			



მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სპორტის პოპულარიზაცია, მასობრივი სპორტი განვითარება
------------------------------	---

ა.გ) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02			2582.1
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში ახალი სპორტული ობიექტების მოწყობა, 2024 წელს არანაკლებ 6 მინი სპორტული კომბირირებული მოედნის მოწყობა და სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება	
	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოწყობილია სპორტული ინფრასტრუქტურა	

ბ) კულტურის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02			3212.8
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე	
	პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურის სფეროს დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის სფეროს ობიექტების რეაბილიტაცია და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება.	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება.	

ბ.ა) კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01			2253,0
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი	



	განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	განხორციელება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მარნეულის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ქალაქში არსებული დიასპორების უშუალო ჩართულობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინირება და დახმარების გაწევა, სახელოვნებო დარგების განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია. სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების, სხვადასხვა მიმართულების შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა: სამუსიკო, ქორეოგრაფიული, ფოლკლორის, ხატვა-ფერწერა, კლასიკური მუსიკა, თეატრი, თანამედროვე ქორეოგრაფია, ფოტოხელოვნების, ვოკალურ ინსტრუმენტალური წრეების, ლიტერატურული კლუბების, ახალგაზრდა ადგილობრივი ნიჭიერი მწერლების, შემოქმედების პოპულარიზაციისთვის პირობების შექმნა, ეროვნული ტრადიციების წეს-ჩვეულებების ფიქსაცია პოპულარიზაცია. მოზარდი თაობის დემოკრატიული საზოგადოების ქეშიმარიტ მოქალაქეებად აღზრდის და ჩამოყალიბების ხელშეწყობა, კულტურული და სოციალური თვითშეგნების, ესთეტიკური განვითარების სრულყოფა. 2020 წლიდან ფუძნდება რაიონში თეატრალური დასი, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების კეთილდღეობაში მისი როლის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ხელსაყრელი გარემოს შექმნა კულტურული ცხოვრების, მისი ახლებური გააზრების, შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის. საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა თეატრის მიმართ და თეატრალური ხელოვნების განვითარების, პოპულარიზაციის ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კულტურის ცენტრი ფუნქციონირებს გამართულად, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა

ბ.ბ) კულტურის სფეროს ღონისძიებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 02			477.7
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოში არსებული და მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელ კულტურულ (ნოვრუზ ბაირამი) ღონისძიებების სრულფასოვნად ჩატარებას (სასაჩუქრე კალათების, თაიგულების, გვირგვინების, დეკორაციების შეკვეთა - შესყიდვა). კონცერტებისათვის მომღერლების, სცენისა და განათება-გახმოვანების დაქირავებას, მათი მონტაჟი-დემონტაჟი. თეატრალიზებული წარმოდგენებისთვის ფორმების შექმნა ან დაქირავებას. საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით პროდუქტის შექმნა. მარნეულში ტრადიციად დამკვიდრდა და აღინიშნება ღვინის დღე სახელწოდებით "მარნეული ვაზის აკვანი". ღონისძიების ფარგლებში ტარდება სხვადასხვა საშემოდგომო რიტუალები. კულტურული მემკვიდრეობის, ტურიზმის და საგანმანათლებლო მიმართულების აქტივობები.	
	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში	

ბ.გ) კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (050203)

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 03			0,0



<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურის ობიექტების მოვლა შენახვა, რეაბილიტაცია.</p>
<p>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის ობიექტების შენარჩუნება, ახალი ობიექტების მშენებლობა რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს კულტურით დანტერესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის დონე.</p>

ბ.დ) რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა (050204)

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 04			482.1
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ 450,0 ათ.ლარით დაფინანსდება „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფარად, ხოლო 32.1 ათ.ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის. კომუნალური გადასახადების დაფარვა ხდება შემდეგი წესით :1) იმ ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც ქალაქ მარნეულში მდებარეობს-300 ლარამდე 2) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი -100 ლარამდე 3) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არის შეყვანილი ბუნებრივი აირი - 50 ლარამდე.		
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა		

გ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა (კოდი 0503)

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03			24.0
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა</p> <p>მიზანი 10: შემცირებული უთანასწორობა</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>		
	<p>დამტკიცებული „ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესი“ შესაბამისად გამოცხადდება ახალგაზრდული იდეების კონკურსი, ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების და აქტიური ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად;</p> <p>მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარების წესი“ და „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი“ შესაბამისად, სტუდენტებს წახალისების მიზნით, გადაეცემათ მერის ჯილდო და თვითმმართველობის მიერ მოხდება აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში აქტიური სტუდენტის</p>		



<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>სტატუსის მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფა. საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა გზებით და მეთოდებით (არაფორმალური განათლების ლექციები, ბანაკები ლიდერთა სკოლები და ა.შ. ღონისძიებების განხორციელება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში. მერიის მიერ ინიცირებული ახალგაზრდული აქტივობები (ახალგაზრდების კონკურსებში, იმიტირებულ აქტივობებში, შემეცნებით ბანაკებში, დასუფთავებისა და გარემოს დაცვითი აქციებში, ტურებში, სემინარებსა და ტრენინგებში, კონფერენციებსა და ფესტივალებში მონაწილეობისათვის.)</p> <p>„ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების“ პროგრამა მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალგაზრდა (30 წლამდე) პირების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებს, მათი ინიციატივების მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და ახალგაზრდებისთვის საჭირო აქტივობებს გამოავლენს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარება“ წახალისებას მოახდენს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს მიიღონ უმაღლესი განათლება. მერიის მიერ ინიცირებული ახალგაზრდული აქტივობები (ახალგაზრდების კონკურსებში, იმიტირებულ აქტივობებში, შემეცნებით ბანაკებში, დასუფთავებისა და გარემოს დაცვითი აქციებში, ტურებში, სემინარებსა და ტრენინგებში, კონფერენციებსა და ფესტივალებში მონაწილეობისათვის.)) ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდების ინტეგრაციას და განვითარებას სრულყოფილ მოქალაქედ, ახალგაზრდა ლიდერების ჩამოყალიბებას და მათი უნარების განვითარებას. ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობას, მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას, თანასწორი შესაძლებლობები მიანიჭებს, ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ხელშეწყობილია ახალგაზრდობის განვითარების მხარდამჭერი და ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არაფორმალური განათლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და თანაბარ შესაძლებლობებს.</p>

დ) ტელე-რადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 04			173,1
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე	
პროგრამის აღწერა		პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		შექმნილია პირობები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად	

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.



ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024			2025	2026	2027
		სულ	ადგილობრივი	ტრანსფერი	სულ	სულ	სულ
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	415.3	99.0	316.3	313,3	313,3	313,3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	415.3	99.0	316.3	313,3	313,3	313,3
06 02	სოციალური დაცვა	4749.4	4650.4	99.0	2703,0	2703,0	2703,0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2451.6	2451.6	0.0	2000,0	2000,0	2000,0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2292.8	2198.8	94.0	700,0	700,0	700,0
06 02 03	სარიტუალო მომსახურება	5.0	0.0	5.0	3,0	3,0	3,0
	სულ პრიორიტეტი	5164.7	4749.4	415.3	3016,3	3016,3	3016,3

ა) ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 0601)

კოდი	პროგრამის დასახელება	ჯანმრთელობის დაცვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01			415,3
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</p> <p>მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p> <p>მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია</p>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა. არსებულ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებულია კოდი 060101 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“ დაფინანსება.		
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;		

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

კოდი	პროგრამის	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	-----------	---------------------------------	----------------------------------



06 01 01	დასახელება	უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	415,3
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</p> <p>მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p> <p>მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია</p>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებულებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდვლევების ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მცისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.</p>		
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;		

ბ) სოციალური დაცვა

კოდი		2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	--	-------------------------------------



06 02	პროგრამის დასახელება	სოციალური პროგრამები	4749.4
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</p> <p>მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ფენების მოსახლეობის დახმარება მედიკამენტებით, ოპერაციის და მკურნალობის დაფინანსება, ერთჯერადი დახმარებები მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის №9 დადგენილების "მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ" და საკრებულოს სხვა დასხვა განკარგულებების საფუძველზე.</p> <p>პროგრამა ხელს უწყობს გენდერულად მგრძობიარე სოციალური პოლიტიკის განხორციელებას და სოციალური პროგრამის დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია ბავშვების, შშმ პირების, მოხუცების, ქალებისა და კაცებისთვის სხვადასხვა სოციალური სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.</p>		
ქვ ეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით</p>		

ბ.ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა

კოდი	პროგრამის დასახელება	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01			2451.6
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო (ოპერაციული , მედიკამენტებით და სხვა) დახმარების გაწევა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის №9 დადგენილების "მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე.</p>		
ქვ ეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა</p>		



ბ.ბ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

კოდი	პროგრამის დასახელება	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02			2292.8
	გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა</p> <p>მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p>	
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	გათვალისწინებულია მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიური ფინანსური დახმარება, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის №9 დადგენილების "მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე.	
	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით	

ბ.გ) სარიტუალო მომსახურება (კოდი 060203)

კოდი	პროგრამის დასახელება	სარიტუალო მომსახურება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 03			5.0
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. კერძოდ ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვალების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მომართვისას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას 250 ლარის ოდენობის თანხით.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში დადგენილი წესის შესაბამისად სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება	

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (კოდი 0100)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, მათ შორის: მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა. კერძოდ:

(კოდი 010101) ქვეპროგრამაში 25,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გასახორციელებლად.



(კოდი 010102) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული არის გრანტის სახით 55.0 ათასი ლარით დაფინანსება.

(კოდი 010203) ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა, კერძოდ "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში თანხის გადახდის დღისათვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) გადასახდელი ძირი და დარიცხული საპროცენტო თანხა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.

კოდი	დასახელება	რიცხოვნობა	2024	2025	2026	2027
0101	საკონონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	276	17899.8	14736,5	15067,3	15868,7
010101	მუნიციპალიტეტის საკრებულო	47	4920.2	4862,6	3706,2	3892,7
010102	მუნიციპალიტეტის მერია	229	12979.6	9874,0	11361,0	11976,0
0102	საერთო დანიშნულების ხარჯები	0	1412.5	484,3	435,8	503,0
010201	სარეზერვო ფონდი		1280.0	400,0	400,0	500,0
010202	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწ. აღსრულების ფონდი		0.0	3,0	3,0	3,0
010203	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა		75.0	81,3	32,8	0,0
010204	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა		50.0	0,0	0,0	0,0
010205	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა		7.5	0,0	0,0	0,0
	სულ პრიორიტეტი	276	19312.3	15220,8	15503,0	16371,7

ა) მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
010203			75.0
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში თანხის გადახდის დღისათვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) გადასახდელი ძირი და დარიცხული საპროცენტო თანხა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.	
	ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულება	



ღონისძიებები	ჯამი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
"საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულება (ძირი თანხა)	156,7	62,7	62,7	31,3	0,0
"საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულება (პროცენტი)	32,3	12,3	18,6	1,4	0,0
	189,0	75,0	81,3	32,7	0,0

ბ) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

კოდი	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის დასახელება 010204	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 50,0
<p>გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ქვეპროგრამით გათვალისწინებულია: ქალების ცნობიერების ამაღლება, საჭიროების მქონე ქალთა წახალისება სხვადასხვა ფორმით, მეწარმე ქალთა გაძლიერება, ქალთა ჩართულობის ზრდა და მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორი უფლებებითა და შესაძლებლობებით.</p> <p>„ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ ხელშეწყობა“</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გზით გენდერული თანასწორობის წარმატებით მიღწევა, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც შემდგომში განაპირობებს ქალთა ეკონომიკურ/სოციალურ აქტიურობას და ხელს შეუწყობს თანაბარი/თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნას, ქალთა გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.</p> <p>ქვეპროგრამის მართვა:</p> <p>„ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების (ქალები) მიერ წარმოდგენილი პროექტების 80%-მდე თანადაფინანსებას.</p> <p>საუკეთესო პროექტი გამოვლინდება კონკურსის საფუძველზე.</p> <p>საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების ჯამური ოდენობა განისაზღვრება 30 000 ლარით. თითოეული გამარჯვებულისათვის თანადაფინანსების მინიმალური ოდენობა შეადგენს 6000 ლარს, ხოლო მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 10 000 ლარს.</p> <p>თანადაფინანსებად ჩაითვლება მხოლოდ თანხობრივი მონაწილეობა.</p> <p>კონკურსის მონაწილე შეიძლება იყოს: ფიზიკური პირ(ები) (ქალი) – ასევე პირ(ები) (ქალი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ინდივიდუალურ მეწარმეებად (სრულწლოვანი -18 წელს მიღწეული), მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქალი ან ქალთა საინიციატივო ჯგუფი.</p> <p>წარმოდგენილი პროექტი უნდა ემსახურობდეს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. პროექტი არ უნდა ეხებოდეს სპორტისა და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს წარმოების მიმართულებებს, რელიგიურ საკითხებს, ასევე მხოლოდ ინფორმირებას.</p> <p>საკონკურსო რესურსით არ ფინანსდება შემდეგი ხარჯები:</p> <p>ა) ხელფასები და მიმდინარე ხარჯები;</p> <p>ბ) უძრავი ქონების შექმნა;</p> <p>გ) სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა;</p> <p>დ) კვლევები;</p>	



ე) სასწავლო/სამეცნიერო გრანტები;

ვ) ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;

ზ) გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;

თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

წარმოდგენილი პროექტი უნდა განხორციელდეს ქალაქ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

კონკურსში ჩართვის მიზნით, ბენეფიციარს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენა.

მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას, გადაულახავი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მისგან დამოუკიდებელი გარემოების არსებობისას, უარი თქვას პროექტის დაფინანსებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროგრამის მართვის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ, გამარჯვებულმა პროექტმა უნდა გაიაროს კონკურსის I და II ეტაპი.

კონკურსის I ეტაპი:

კონკურსანტის განცხადება განიხილება მოცემული კრიტერიუმების მიხედვით, რომელთაც მიენიჭებათ შესაბამისი ქულების ოდენობა:

– პროექტი ახალ ინიციატივებსა და სიახლეებზეა ორიენტირებული – 10 ქულა;

– პროექტი დეტალურად და ნათლადაა აღწერილი – 10 ქულა;

– პროექტის განაცხადი ნათლად აჩვენებს ქალის განვითარების შესაძლებლობებს ეკონომიკურ სფეროში – 10 ქულა;

– სამიზნე ბაზარი – 10 ქულა;

– დასაქმებულთა რაოდენობა – 10 ქულა;

– პროექტის განხორციელების შედეგების ეფექტურობა – 10 ქულა;

– პროექტის მდგრადობა – 10 ქულა;

– პროექტის განაცხადის ყველა პუნქტი შევსებულია – 10 ქულა;

– პროექტის ბიუჯეტი რეალურადაა დაგეგმილი – 10 ქულა;

– პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები ტექნიკურად განხორციელებადია – 10 ქულა.

კონკურსის I ეტაპის გამარჯვებული პროექტი გამოვლინდება უმაღლესი შეფასების შედეგად, რომელსაც მიღებული აქვს ქულათა საშუალო არითმეტიკულის 50%-ზე მეტი.

კონკურსის II ეტაპი:

კონკურსის II ეტაპის გამარჯვებული გამოვლინდება აპლიკანტის, კომისიის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს კომისიის წევრების მიერ ობიექტის ადგილზე დათვალიერება.

პროექტები, რომლებიც დადებით შეფასებას მიიღებენ, ამასთან წარმატებით გაივლიან გასაუბრებას, რეიტინგის შესაბამისად, გამარჯვებულად ჩაითვლებიან.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შევსებული განცხადება მერის სახელზე;

ბ) შევსებული სააპლიკაციო ფორმა (ფორმა წინასწარ მტკიცდება საკონკურსო კომისიის მიერ);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) სამოტივაციო წერილი (ხელმოწერილი);

ქვეპროგრამის
აღწერა და
მიზანი



ვ) დანადგარის, ტექნიკის ან სხვა ნივთის შემთხვევაში ბაზრის კვლევის შედეგები (ინვოისი – სულ მცირე 3 მომწოდებლისაგან. ამასთან, განახლებული ინვოისი წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშეკრულების დადებისას, რის მიხედვით დადგინდება აპლიკანტის თანამონაწილეობის თანხის საბოლოო ოდენობა);

ზ) დაფინანსების შემთხვევაში – კონკურსანტის/განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია.

კონკურსს აცხადებს და შესაბამის პროცედურებს ახორციელებს მერის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა ხდება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროგრამის პირობების შესაბამისად. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც გამარჯვებულ აპლიკანტთან დებს ხელშეკრულებას და გამოსცემს

ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით.

თანხის ჩარიცხვა განხორციელდება გამარჯვებული აპლიკანტის მიერ გასაღები თანამონაწილეობის თანხის (პროექტის საერთო ღირებულების 20%) გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

გამარჯვებულ აპლიკანტს თანხა დაერიცხება წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის ნომერზე. კონკურსში გამარჯვებულის მიერ შესასრულებელი პირობები განისაზღვრება ქალაქ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას (მერი) და კონკურსში გამარჯვებულ აპლიკანტს შორის, დადებული ხელშეკრულებით.

პროგრამა არ ვრცელდება წინა საბიუჯეტო წლის კონკურსის გამარჯვებულებზე.

მოსალოდნელი შედეგი

ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივების გამოვლენა. საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური ჩართულობისა და გაძლიერების ხელშეწყობა.

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა

კოდი	ქვე პროგრამის დასახელება	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
010205			7,5
	ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა. რაც ითვალისწინებს შესაძლო სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო მასალების დამზადება(შინაარსის მომზადება; დიზაინის მომზადება, დაბეჭდვა, საინფორმაციო კლიპებისა და ვიდეო-რგოლების მომზადება, მაგალიტად გზამკვლევები, საინფორმაციო ბუკლეტები, ლიფლეტები, პოსტერები და ა.შ • საინფორმაციო მასალების გავრცელება(საინფორმაციო მასალების მედია საშუალებებში და ონლაინ სივრცეში (მათ შორის სოციალურ ქსელებში) განთავსება) • დასახლების საერთო კრებების და სხვადასხვა სახის საჯარო შეხვედრების ორგანიზება - ჩატარება(დარბაზის დაქირავება, აპარატურის (აუდიო-ვიდეო, გახმოვანების) დაქირავება, შეხვედრის მონაწილეთა კვება, საწვავით უზრუნველყოფა) • მონაწილეობის ელექტრონული მექანიზმების განვითარება (ვებგვერდის დამზადება, განვითარება, მხარდაჭერა;სოციალური გვერდების განვითარება; საკრებულოს/კომისიის სხდომების ლაივ სტრიმი); • მუნიციპალიტეტის ორგანოებთან არსებული საკონსულტაციო-სათათბირო საბჭოების საქმიანობის ხელშეწყობა (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, გენდერული თანასწორობის საბჭოს, შშმ საბჭოს, ახალგაზრდული საბჭოს და სხვა მსგავსი საბჭოების ორგანიზაციული მხარდაჭერის ხარჯები) • საგანმანათლებლო კომპონენტი (მოქალაქეთა ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით შეხვედრები, ტრენინგები). 	
	მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და ხელშეწყობილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.	

- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის დადგენილება №01 - ვებგვერდი, 01.02.2024წ.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 მარტის დადგენილება №07 - ვებგვერდი, 29.03.2024წ.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 1 მაისის დადგენილება №09 - ვებგვერდი, 02.05.2024წ.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 მაისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 28.05.2024წ.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის დადგენილება №18 - ვებგვერდი, 26.06.2024წ.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივლისის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 26.07.2024წ.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს დადგენილება №23 - ვებგვერდი, 02.09.2024წ.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 01.10.2024წ.



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 21.10.2024წ.
 მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №28 - ვებგვერდი, 07.11.2024წ.
 მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 27.11.2024წ.
 მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 19.12.2024წ.
 მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №33 - ვებგვერდი, 25.12.2024წ.

თავი VI

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

